MES 4 20 0000500741

22/06/2020

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა-Zoom-ის გამოყენებით **2020 წლის 10 ი ვნისს.**

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისსაბჭოს(შემდგომში- საბჭო) წევრები:

თამარზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე - პრეზიდენტი, პროფესორი, მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
თამარლაღიძე - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის სტუდენტი - საბჭოს მდივანი;
ნინოინასარიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის "გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია" და სამაგისტრო პროგრამის " გამოყენებითი ბიომეცნიერებები" ხელმძღვანელი;
მაიამანწკავა - სსიპ - ივანე ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრის რეოლოგიისა და დიაგნოსტიკურ - ანალიტიკური სერვისების განყოფილების გამგე, მთავარი მეცნიერ - თანამშრომელი;
მორისიშალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოციირებული პროფესორი;
იურიმღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო - კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე;
ირაკლიკოხრეიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე - რექტორი, ონკოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

ირმა ჭანტურია - შპს „ღვინის ლაბორატორიის“ დირექტორი.

სსიპ- განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის(შემდგომში- ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარმახარაშვილი - ცენტრის დირექტორი;
ლაშამარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლალიგიორგიძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
გაგაგვენეტაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;
ანაგვრიტიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი.

შპსთბილისისდავითაღმაშენებლისსასწავლოუნივერსიტეტი:
ანზორშარაშენიძე - რექტორი.

სხვადამსწრეპირები:
ანანიჟარაძე - სტენოგრაფისტი;
ელენეკაკაბაძე.

საბჭოს სხდომა დისტანციურ რეჟიმში დაიწყო 16:00 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საბჭოს უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ თამარ ზარანდიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 74-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოსთავმჯდომარემსაბჭოსწევრებსგააცნო დღის წესრიგი:

1. ,,შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №51 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არავის მიერ არ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.

1. „შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №51 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო და დაწესებულების რექტორი, ანზორ შარაშენიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ განსახილველ საკითხთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აღნიშნულ ფაქტობრივ გარემოებებს.

ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ცენტრმა ელექტრონულ ფოსტაზე მიიღო დაწესებულების წარმომადგენლის - იურისტის წერილი, რომლის მიხედვითაც ის საბჭოს სხდომის გადადებას მოითხოვდა და ერთ-ერთ მიზეზად დასახელებული იყო ვადების დარღვევა და ის გარემოება, რომ დაწესებულებას არ ჰქონდა სრულყოფილი ინფორმაცია თუ რასთან დაკავშირებით იმართებოდა 10 ივნისის საბჭოს სხდომა. წარმოდგენილ წერილში მოცემული იყო, რომ ავტორიზაციის საბჭოსთან დაკავშირებით ცენტრმა არ გააფრთხილა დაწესებულება კანონით დადგენილ ვადებში. საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომის დღის წესრიგი ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა კანონმდებლობით დადგენილ ვადაში, სხდომის გამართვამდე შვიდი დღით ადრე, ამასთან, დაწესებულებას ცენტრის 2020 წლის 3 ივნისის №431780 წერილით ეცნობა, რომ 10 ივნისს იხილებოდა ,,შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №51 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი.

თამარ ზარანდიამ აღნიშნა, რომ მიუხედავად ზემოაღნიშნული წერილში მოცემული გარემოებებისა, საბჭოს სხდომას ესწრებოდა სასწავლო უნივერსიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი - რექტორი. შესაბამისად, საკითხის განხილვის დროს უზრუნველყოფილი იქნებოდა დაწესებულების ჩართულობა. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, არ არსებობდა საკითხის გადადების მიზეზი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს ავტორიზაციის საბჭოს სხვა წევრებმაც.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, ცენტრმა მიიღო დაწესებულების იურისტის წერილი და თუ საქმე არ ეხებოდა იურიდიულ საკითხებს, მაშინ სხდომაში თავად იგი მიიღებდა მონაწილეობას.

საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა დაწესებულების რექტორს, რომ საბჭოს წევრები იცნობდნენ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რაც შექმნილი იყო შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს შეახსენა, რომ შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის N51-ე გადაწყვეტილებით გაუუქმდა

ავტორიზაცია. დაწესებულებაში ჩარიცხული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინებით, საბჭომ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მიუთითა 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დასრულების თარიღი - 2020 წლის 15 თებერვალი. ავტორიზაციის საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება დაწესებულების მიერ გასაჩივრდა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში. დაწესებულებამ სარჩელის უზრუნველყოფის საშუალებად მოითხოვა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერება.

თამარ ზარანდიას განმარტებით, საქალაქო სასამართლომ 2020 წლის 27 იანვარს მიიღო გადაწყვეტილება და შეაჩერა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის დირექტორის 2020 წლის 12 თებერვლის ბრძანებით რიგგარეშე მობილობა გამოცხადდა სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის. მობილობის უფლებით ისარგებლა 119 სტუდენტმა და გადავიდა სხვადასხვა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. დაწესებულებაში სწავლა განაგრძო 240-მდე სტუდენტმა. ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება ცენტრის მიერ სააპელაციო წესით გასაჩივრდა. სააპელაციო სასამართლომ 2020 წლის 27 აპრილს გამოსცა განჩინება, რომლის მიხედვითაც, გააუქმა საქალაქო სასამართლოს განჩინება ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების მოქმედების შეჩერების თაობაზე და საქალაქო სასამართლოს დაავალა საკითხის ხელახლა განხილვა.

ქ. თბილისის საქალაქო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ხელახლა განიხილა საკითხი და შეცვალა თავისი 2020 წლის 27 იანვარს მიღებული გადაწყვეტილება. საქალაქო სასამართლომ 2020 წლის 18 მაისს გამოსცა განჩინება, რომლის მიხედვითაც შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში შეიქმნა არაორდინალური სიტუაცია, კერძოდ, ამჟამად დაწესებულებას აღარ აქვს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, რაც ნიშნავს იმას, რომ შუა სემესტრში სტუდენტებს უჩერდებათ სტუდენტის სტატუსი და ვერ ასრულებენ მიმდინარე სასწავლო სემესტრს, რაც მათთვის იწვევს მინიმუმ ერთი სემესტრის დამატებას. ამასთან, სტუდენტები დამატებით დგებიან მიმდინარე სასწავლო სემესტრში გადახდილი სწავლის საფასურის დაკარგვის რეალური საფრთხის წინაშე. აღნიშნული გარემოებები, თამარ ზარანდიას მოსაზრებით, არ შედიოდა არც დაწესებულების და რაც მთავარია არც სტუდენტების ინტერესებში.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა რომ ავტორიზაციის საბჭოს მიმდინარე სხდომის მიზანი იყო არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №51 გადაწყვეტილების კანონიერებაზე მსჯელობა, არამედ საბჭოს წევრებს სურდათ საბჭოს ფარგლებში ემსჯელათ გადაწვეტილების ძალაში შესვლის ვადებზე. თამარ ზარანდიას განმარტებით, ვინაიდან გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად მითითებული იყო 2020 წლის 15 თებერვალი, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გარკვეულწილად საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტიილების აღსრულება გადავადდა. ამიტომ, საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრებით, მიზანშეწონილი და გონივრული იყო საბჭოს ემსჯელა მხოლოდ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №51 გადაწყვეტილების ძალაში შესვლის ვადის გახანგრძლივებაზე. მოცემულ შემთხვევაში, დაწესებულებას მიეცემოდა ვადა, რათა სტუდენტებს შეძლებოდათ დაესრულებინათ მიმდინარე სასწავლო სემესტრი.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა კითხვით თუ რამდენი სტუდენტი ირიცხებოდა ამჟამად უნივერსიტეტში. როგორც საბჭოს თავმჯდომარისთვის იყო

ცნობილი, 119 სტუდენტი რიგგარეშე მობილობით იყო გადასული სხვა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ამ დროისთვის დაწესებულებაში რჩებოდა 241 სტუდენტი.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ მან ზუსტად არ იცოდა რამდენი სტუდენტი სწავლობდა ამჟამად დაწესებულებაში, მაგრამ როგორც მას ახსოვდა სტუდენტების რაოდენობა იყო 241-ზე ნაკლები. ანზორ შარაშენიძემ აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტების ნაწილი უკვე გადასულიყო იყო სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ამ სტუდენტების დოკუმენტაცია ჯერ კიდევ ინახებოდა თბილსის დავით აღმაშენებლის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტში. ასევე, მისი თქმით აღნიშნული გაუგებრიობას იწვევდა, რადგან როგორ შეიძლებოდა რომელიმე უმაღლეს სასწავლებელს ჩაერიცხა სტუდენტი, როდესაც მისი პირადი საქმე ჯერ კიდევ სხვა დაწესებულებაში იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა კითხვით დაწესებულების რექტორს, თუ როდის სრულდებოდა მიმდინარე სასწავლო სემესტრი დაწესებულებაში.

დაწესებულების რექტორის თქმით, თუ მას სწორად ახსოვდა, მიმდინარე სასწავლო სემესტრი დაწესებულებაში სრულდებოდა 15 ივლისს საგამოცდო პერიოდის ჩათვლით. მისი თქმით, არსებობდა სირთულეები დიპლომების გაცემასთან დაკავშირებით, რომელიც საჭიროებდა დამატებით დროს, საჭირო იყო მათი დაბეჭდვა, რასაც სჭირდებოდა ნებართვები, რაც მისივე განმარტებით არც ისე ადვილი მოსაპოვებელი იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის საბჭო ითვალისწინებდა სტუდენტების საუკეთესო ინტერესებსა და უფლებებს და იმასაც, რომ მათ ფინანსური ვალდებულება ჰქონდათ უკვე შესრულებული დაწესებულების მიმართ. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობა, რომელიც გამოწვეული იყო ახალი კორონავირუსის გავრცელებიდან გამომდინარე. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს რომ შეეტანათ ცვლილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №51 გადაწყვეტილებაში მხოლოდ ვადის ნაწილში და გადაწყვეტილების ძალაში შესვლა დაეკავშირებინათ მიმდინარე სასწავლო სემესტრის დასრულების თარიღთან და ასევე იმ გონივრულ დროსთან, რაც დაწესებულებას დაჭირდებოდა კვალიფიკაციების მისანიჭებლად. შესაბამისად, თამარ ზარანდიას მოსაზრებით, მიზანშეწონილი იყო ავტორიზაციის საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შესულიყო 2020 წლის 1 აგვისტოდან.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარების გათვალისწინებით, უმჯობესი იქნებოდა დაწესებულებას ავტორიზაციის ვადა გახანგრძლივებოდა უფრო მეტი დროით. ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს მოსაზრებით, 1 აგვისტოს გადაწყვეტილების ამოქმედება ერთის მხრივ სტუდენტებს აძლევდა შესაძლებლობას დაესრულებინათ მიმდინარე სასწავლო სემესტრი, მეორეს მხრივ დაწესებულებას აძლევდა საშუალებას, რომ 1 აგვისტომდე კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად მიენიჭებინა სტუდენტისთვის კვალიფიკაციები და ასევე, სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას აძლევდა საშუალებას, რომ დაეორგანიზებინა თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის რიგგარეშე მობილობის პროცესი.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში პოზიტიური იქნებოდა დაწესებულებისთვის. კიდევ ერთხელ განმარტა, თამარ ზარანდიამ, რომ მოცემული გადაწყვეტილების მიღება ნაკარნახევი იყო სტუდენტებისა და თავად დაწესებულების

ინტერესებიდან გამომდინარე. ამასთან, თამარ ზარანდიამ განმარტა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №51 გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა დავა სასამართლოში და მას შეეძლო დავის გაგრძელება.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №51 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში ცვლილების შეტანის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ცვლილება შევიდეს ,,შპს თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ" უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 20 დეკემბრის №51 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,2. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2020 წლის 1 აგვისტოდან“.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 16:23 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ზარანდია თამარ



უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ლაღიძე თამარ